



გაცნობის თარიღი: 03/08/2018 17:

გაგზავნის თარიღი : 26/07/2018

გადაწყვეტილება № AR1265589MS

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სანაპიროს ქუჩა #6-ის მიმდებარედ, ვფლობთ მიწის ნაკვეთს, რომელზეც ამაწლის თებერვალში ქონების აუქციონში გამარჯვების შემდეგ განვახორციელეთ ფართის მომატება (გაერთიანებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია #01.15.03.010.153), რომელზეც გვსურს მე-2 კლასის პარამეტრების მქონე მსუბუქი კონსტრუქციის შენობის მონტაჟი, რომლის სარდაფში მოეწყობა საწყობი, პირველ სართულზე მოეწყობა სავაჭრო ობიექტი, ხოლო მე-2 სართულზე, რომელიც გადმოდის კონსოლით 2.5 მეტრით ჩვენ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მოეწყობა ადმინისტრაციისა და მოსასვენებელი ოთახი, ხოლო სახურავის ტიპი ბრტყელი გადახურვისაა და მოეწყობა არაექსპლუატირებული გამწვანებული ტერასა. გთხოვთ განიხილოთ ატვირთული საპროექტო მასალა და შეგვითანხმოთ არქიტექტურული პროექტი. ამასთანავე გასათვალისწინებელია რომ ნაკვეთი რომელზეც სერვიტუტია დადებული, შევისყიდეთ მერიის ქონების სამსახურისგან, პარკინგის მოსაწყობად. დღეის მდგომარეობით, საპროექტო გადაწყვეტით შენობის ძირი ყველა ისეთ არეალში სადაც სერვიტუტით არ გვაქვს დასმული, ხოლო კონსოლის გარკვეული ფრაგმენტი გადმოდის სერვიტუტ დადებულ არეალზე, რომელსაც შეხებადობა არ არქვს ნაკვეთზე დასმულ სერვიტუტთან და რომელიც არ უშლის ხელს სერვიტუტის არეალში სამანქანო მოძრაობას. რაც შეეხება გასამართ სადგურთან გასათვალისწინებელ უსაფრთხოების ნორმებს გენ-გეგმაზე სადგურთან დავიტანეთ მონოლითური კედელი, რომლის გაბარიტული ზომებია 110 (სიგანე)*250 (სიმაღლე)*15 (სისქე)-სანტიმეტრი, რომლის მოწყობის შემთხვევაში დასაშვებია 50%-ით შემცირდეს მანძილი, რომლის მიხედვითაც თავისუფლად ვჯდებით ყველანაირ ნორმებში, ხოლო რაც შეეხება ბენზინ გასამართი სადგურიდან დაშორებას, გაცნობებთ, რომ ბენზინის დისპანსერის მხარეს მონოლითური კედელს ვაწყობთ და ასევე დაშორება არის 26 მ, ხოლო ბენზინის ავზებამდე დაშორება არის 22 მეტრი.